საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №050

2025 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის (სამმართველო) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 მარტის №009 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
„საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის (სამმართველო) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 მარტის №009 ბრძანებით (ვებგვერდი, 04/03/2022, სარეგისტრაციო კოდი: 110060080.70.082.016081) დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:
ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ყოველი წლის იანვარში, გენერალურ პროკურორს წარუდგენს გასული წლის ანგარიშს, სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს სამმართველოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მომავალში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე;“;

ბ) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **გიორგი გვარაკიძე**